დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ "ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე
წევრები:
ფრიდონ გოგიაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **402019917**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2024 წლის 27 მაისს წარდგენილ იქნა განაცხადი ქალაქ თბილისში "ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებული იყო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და საფასურის გადახდის ქვითარი (ცენტრში რეგისტრაციის N582419), რის საფუძველზეც ცენტრის დირექტორის მიერ 2024 წლის 12 ივნისს გამოიცა ბრძანება N MES 2 24 0000655140 ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და კოლეჯში ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების შესახებ. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ,,ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, კოლეჯში ვიზიტის განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 1 ივლისს (ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10).

ვიზიტის დასაწყისში გამოიკვეთა, რომ დაწესებულებამ დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის N106 ბრძანებით ცვლილება შეიტანა დირექტორის 2024 წლის 14 მაისის N66 ბრძანებაში და პროგრამიდან ამოიღო ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ბლოკი. შესაბამისად, ვიზიტის ფარგლებში პროგრამის შეფასება განხორციელდა ინტეგრირებული მოდულების გარეშე.

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება და შესაბამის პირებთან გასაუბრება; პროგრამის ხელმძღვანელთან და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება და მის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წარმომადგენლებთან გასაუბრება. შესწავლილ იქნა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, ასევე შესყიდვის დოკუმენტაცია და მარეგულირებელი აქტები.
ვიზიტის ფარგლებში ეტაპობრივად ხორციელდებოდა მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებთან. ვიზიტის ბოლოს, შეჯამებული სახით, დაწესებულების წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ მიეწოდა ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუირებით გამოიკვეთა, რომ გარკვეული პროფესიული მოდულების სწავლებისას ისინი საჭიროდ მიიჩნევენ გამოიყენონ დამატებითი ლიტერატურა, რომლებიც არ აქვთ მოდულებში გაწერილი, თუმცა განთავსებული აქვთ ბიბლიოთეკაში. გამომდინარე აქედან, სასურველია მოდულებში გაწერილ სასწავლო რესურსებს დაემატოს დამატებითი ლიტერატურაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა გარკვეული ტექნიკური შეუსაბამობები, რომლებიც საჭიროებს კორექტირებას. კერძოდ:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ნაწილი/დოკუმენტი სრულად არ მიყვება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს, მის სტრუქტურას, მათ შორის პროგრამა არ მოიცავს პროგრამის მიზანს. შესაბამისად, სასურველია პროგრამაში გაიწეროს პროგრამის მიზნები და დისტანციური სწავლების შესაძლებლობები.
- პროგრამის ძირითადი ნაწილის დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ „მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების 24 მუხლით დამტკიცებული გარდამავალი დებულებით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.” მინისტრის ამავე ბრძანების საფუძველზე სასურველია განისაზღვროს, რომ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა შეუძლია დაიწყოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ პროგრამით (რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება) გათვალისწინებული მოდულით/ მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.
- უცხოური ენის მოდული, მისი თავფურცელი არ იძლევა ინფორმაციას, კონკრეტულად რომელი უცხო ენა ისწავლება მოდულის ფარგლებში. ასევე, დამატებითი მიდგომები მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით არ არის ადაპტირებული. შესაბამისად, სასურველია მოდულით განისაზღვროს, რომელი უცხო ენა ისწავლება და მოხდეს მოდულის განხორციელების მიდგომების ადაპტირება.
- პროფესიული მოდულების ზოგადი ჩანაწერები მოიცავენ ინფორმაციას მოდულის სახელწოდების, კრედიტების, სარეგისტრაციო ნომრის და ვერსიის შესახებ, თუმცა საგანმანათლებლო სტანდარტისგან განსხვავებით, რომელშიც მითითებულია N3, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ მოდულებში ვხვდებით ჩანაწერს „N2”-ს, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შესულ ცვლილებების მაჩვენებელზე იძლევა ინფორმაციას.

შესაბამისად, სასურველია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გასწორდეს არსებული შეუსაბამობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. სასწავლო გეგმის შეფასებისას გამოიკვეთა რამდენიმე შეუსაბამობა, რომელიც საჭიროებს კორექტირებას:

- სასწავლო გეგმაში ქართული ენის მოდულების საათობრივი სქემა არ არის ჩაშლილად წარმოდგენილი და არ მოიცავს რამდენი საათია საკონტაქტო, რამდენი დამოუკიდებელი და რამდენი შეფასებისთვის განსაზღვრული, როდესაც ზოგადი და პროფესიული მოდულებისთვის საათების განაწილება, კრედიტების შესაბამისად, არის გაწერილი.

- სასწავლო გეგმაში, რამდენიმე მოდულის საათობრივი გადანაწილება არასწორადაა წარმოდგენილი. კერძოდ, სასწავლო გეგმაში სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვის მოდულსა და სატრანსპორტო-საექსპედიტორო დოკუმენტაციის მომზადების მოდულების შეფასებისთვის გათვალისწინებული დრო არასწორადაა გაწერილი, ასევე, ტვირთის გადაზიდვის კონტროლის და სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხის კონტროლის მოდულების დამოუკიდებელი საათები.

შესაბამისად, სასურველია გასწორდეს სასწავლო გეგმაში არსებული შეუსაბამობები.

4. დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით სასურველია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის საჭიროების დადასტურების სხვა შემთხვევებად და ინდივიდუალურ საჭიროებად განხილულ იქნას წინმსწრები ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება. ასევე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნას პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა.

5. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია, რომ პრაქტიკის ობიექტი ვალდებულია პრაქტიკის დასრულებისას გასცეს პრაქტიკის დღიური შესაბამისი დამოწმებით. „პრაქტიკის დღიურის ფორმა განისაზღვრება ამ ხელშეკრულების დანართის შესაბამისად“, რომელიც არ ახლავს პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს. შესაბამისად, სასურველია პრაქტიკის დღიურის ფორმა ახლდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ, 2024 წლის 25 ივლისის N MES 0 24 0000905807 წერილით წარმოდგენილია არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც ირკვევა, რომ დაწესებულება ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების უმეტესობას ეთანხმება და არ ეთანხმება მხოლოდ 2 განმავითარებელ რეკომენდაციას. კერძოდ:

- **დაწესებულება არ მიიჩნევს საჭიროდ ქართული ენის მოდულის საათობრივი სქემის ჩაშლას საკონტაქტო, დამოუკიდებელ და შეფასების საათებად,** "**ვინაიდან მოდულში აღწერილია აღნიშნული ინფორმაცია** და მოდულების გავლის საჭიროების დადგომისას მოახდენს კალენდარულ გეგმაში ამთვისებელი პროფესიული სტუდენტის დონისა და შესაძლებლობების მიხედვით შეფასების პერიოდულობისა და სწავლების სქემის ინდივიდუალურად დაგეგმვას", თუმცა გასათვალისწინებელია, რომ **საკონტაქტო, დამოუკიდებელი და შეფასების საათებზე ინფორმაცია ასევე განსაზღვრულია ზოგად თუ პროფესიულ მოდულებში, მაგრამ მათ შემთხვევაში სასწავლო გეგმა ჩაშლილადაა წარმოდგენილი.** შესაბამისად, სასურველია სასწავლო გეგმაში ქართული ენის მოდულების საათობრივი სქემა ჩაშლილად იყოს წარმოდგენილი და მოიცავდეს საკონტაქტო, დამოუკიდებელი და შეფასების საათებზე ინფორმაციას.
- დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტთა შემდეგ რეკომენდაციას. კერძოდ, შემუშავებული რეგულაციით სასურველია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის საჭიროების დადასტურების სხვა შემთხვევებად და ინდივიდუალურ საჭიროებად განხილულ იქნას წინმსწრები ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება. ასევე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნას პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა. დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციით ირკვევა, რომ თუ გამოიკვეთება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების აუცილებლობა, აღნიშნული მოექცევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის "ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის საჭიროების სხვა დადასტურების შემთხვევები" რეგულირების ქვეშ. **გამომდინარე იქიდან, რომ ინდივიდუალური გეგმის შემუშავების დროს, ფორმალური თუ არაფორმალური განათლების აღიარება წინასწარ იდენტიფიცირებად შემთხვევებად შეგვიძლია განვიხილოთ, "სხვა დადასტურების შემთხვევებში" სასურველია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

მოექცეს ყველა წინასწარ არაიდენტიფიცირებადი შემთხვევა. ამასთან, დაწესებულება აღნიშნავს, რომ კოლეჯი არ წარმოადგენს არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მქონე დაწესებულებას, მიუხედავად ამისა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არაფორმალური განათლების აღიარებს პროცედურებს მაინც მოიცავს. რაც შეეხება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში პროფესიული სტუდენტის ჩართულობას, დაწესებულების შეფასებით ავტორიზაციის სტანდარტები ამგვარ ჩართულობას არ მოითხოვს, თუმცა აღნიშნავს, რომ შინაგანაწესით განსაზღვრული აქვთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ჩართული იყოს მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში. შესაბამისად, შინაგანაწესიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, ეს უფლებამოსილება იკვეთებოდეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურაშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ტვირთების ექსპედირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში; Secondary Vocational Qualification in Freight forwarding
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 14 მაისის №66 ბრძანება ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 01 ივლისის N112 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი - ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	70 პროფესიული სტუდენტი
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით ***(არსებობის შემთხვევაში)***	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120 კრედიტი

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	70 პროფესიული სტუდენტი კოოპერაციული ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციების შექმნასა და განვითარებას, ზრუნავს სარკინიგზო დარგში კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების მიწოდებაზე, პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის ღირსეული დასაქმებისთვის წინაპირობების შექმნაზე, არსებული პერსონალის გადამზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

გამომდინარე იქიდან, რომ სარკინიგზო ინდუსტრიის ერთ-ერთი მიმართულებაა ლოგისტიკაც, კოლეჯის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა ხდება ტვირთების გადაზიდვისა და ლოგისტიკის სექტორისთვის ისეთი კადრების მომზადება, რომელიც ჩაერთვება ლოგისტიკური თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარების, საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის და ლოგისტიკური ოპერაციების შესრულებაში.

სარკინიგზო ტრანსპორტის მიმართულებით პროგრამის მიზანშეწონილობა დადგენილია უშუალოდ სს საქართველოს რკინიგზასთან კომუნიკაციის საფუძველზე, გამოკვეთილია შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნა და დარგის განვითარების საჭიროებები მომდევნო წლების განმავლობაში. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა დადგენილია, ასევე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტებით, რომელიც აერთიანებს ქვეყნის კრებსით მოთხოვნებს ტრანსპორტის, ტვირთების ექსპედირების, მძიმე ინდუსტრიის სხვადასხვა დარგების მიხედვით და ასევე, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებსაც, რაც თავისთავად გულისხმობს ისტორიული აბრეშუმის გზის, იგივე TRACECA-ს საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის განვითარებას, რომელიც გაამყარებს საქართველოს პოზიციას, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ კონკურენტუნარიან მარშრუტს. ასევე, საქართველოს 2023-2030 წლების ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგიის მთავარი ხედვაა, საქართველოს, როგორც რეგიონულ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბება. მის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ადამიანური კაპიტალის განვითარების კომპონენტი, რაც მოიცავს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ინდუსტრიაში იმ დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებლის ზრდას, რომელთაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაციის/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. სტრატეგიულ მიზანთან მიმართებით მთავარი ამოცანებია: ერთი მხრივ, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის მიმართულებით სწავლების აქტუალიზაცია და ხარისხის ამაღლება და მეორე მხრივ, საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებული სპეციალისტების პროფესიული უნარების განვითარება. ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გათვალისწინებით, საქართველოს გააჩნია პოტენციალი, კავკასიისა და ცენტრალური აზიის მთავარ ლოგისტიკურ ჰაბად იქცეს, გაატაროს და გადაამუშაოს დამატებითი ტვირთების ნაკადი, რაც განაპირობებს შემოსავლის ზრდას და გააუმჯობესებს პირობებს წარმოების განვითარებისათვის.

ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზით ასევე დგინდება, რომ საჭიროა გატარდეს ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც ტვირთების ექსპედირების სფეროში აღმოფხვრის კადრების დეფიციტს და ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას. აღნიშნულის საჭიროებას კვლევის შედეგების ანალიზი იძლევა: ტვირთების ექსპედირების სფეროში მაღალი მოთხოვნაა პროფესიულ კადრებზე; დასაქმებულთა 98% მუდმივად დასაქმებულია გრძელვადიანი კონტრაქტით, რაც ხელს უშლის დარგის კომპანიების მოქნილობას ბაზარზე არსებულ რყევებზე მოახდინონ სწრაფი რეაგირება; ტვირთების ექსპედირების სპეციალისტი ყველაზე მოთხოვნადი პროფესიაა ტრანსპორტის და ლოგისტიკის სფეროში.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის განხორციელების ხელშეწყობის პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი ითვალისწინებს საქართველოში ლოგისტიკის დარგის განვითარებას. ამისთვის შემუშავდა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება საქართველოში ორი თანამედროვე ლოგისტიკური ცენტრის განვითარების მიზნით. დოკუმენტი ცნობილმა გერმანულმა კომპანია Dornier Consulting International-მა მოამზადა. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტის შესაბამისად შეირჩა ორი საუკეთესო ლოკაცია - ერთი აღმოსავლეთ საქართველოში, სოფელ კუმისთან და მეორე დასავლეთში, ქუთაისის აეროპორტის მიმდებარედ. ასევე, მომზადდა თითოეული ლოგისტიკის ცენტრის კონცეპტუალური დიზაინი, ბიზნესმოდელი, გაკეთდა ბაზრის ანალიზი, სოციალური და გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ოპერირების ოპტიმალური მოდელი, განისაზღვრა დასაქმებულთა რაოდენობა და საჭირო კვალიფიკაცია.

თბილისის ლოგისტიკური ცენტრის ჯამური ღირებულება შეადგენს 80.3 მილიონ აშშ დოლარს (პირველი ფაზის ღირებულება 60.7 მილიონი), ხოლო ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრის ჯამური ღირებულება კი - 72.5 მილიონს (პირველი ფაზა - 27.1 მილიონი). ლოგისტიკური ცენტრების განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოში ლოგისტიკური მომსახურების, მათ შორის დამატებითი ღირებულების სერვისების განვითარებას, გაზრდის ქვეყნის სატრანზიტო და ლოგისტიკურ პოტენციალს, ასევე წაახალისებს ექსპორტს. ამასთან, ორივე ლოგისტიკურ ცენტრში ჯამურად შეიქმნება 800-ზე მეტი პირდაპირი ახალი სამუშაო ადგილი და ქვეყანა მიიღებს დამატებით პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. შრომის ბაზრის კვლევით ასევე დადგინდა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, ბათუმი და ფოთი გამოირჩევა როგორც ტრანსპორტსა და ტვირთების ექსპედირებაში ყველაზე აქტიური დასაქმების ბაზარი, სადაც შესაბამისად მაღალი მოთხოვნაა პროფესიულ კადრებზე.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი 2020 წლიდან ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა", მათ შორის ინტეგრირებული მიდგომითაც. აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ 46 კურსდამთავრებულიდან სულ დასაქმდა 38, ხოლო შერჩეული პროფესიის მიხედვით - 29.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის წერილი (15/05/2024/MES 1 24 0000530372), რომელმაც კომპეტენციის ფარგლებში განიხილა კოლეჯის კორესპონდენცია და დაეთანხმება მათ მოთხოვნას, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ტვირთების ექსპედირება" დამატების შესახებ.

კოლეჯი ინტენსიურად თანამშრომლობს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) ლოგისტიკის პროგრამის განვითარების საკითხში და მათი დახმარებით აღჭურვა სიმულაციური საწყობი. კოლეჯს ასევე გადაეცა პროგრამული უზრუნველყოფები, რომლის შესასწავლად გერმანელი პარტნიორების მიერ ნაწილი პროგრამული უზრუნველყოფის ასათვისებლად ჩატარდა ტრენერების ტრენინგი, რომელთა ინტეგრირებაც მოხდება სასწავლო პროცესში.

შესაბამისად, კოლეჯის მიზანია, ინტენსიურად ჩაერთოს თბილისისა და მისი შემოგარენის მაცხოვრებლების ლოგისტიკის სპეციალისტებად ჩამოყალიბებაში, ვინაიდან როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს სექტორი მზარდი დასაქმების ბაზარია და გარდა ლოგისტიკური ცენტრებისა, ყველა ორგანიზაციას ესაჭიროება ლოგისტიკის სპეციალისტები საკუთარი საქმიანობის განსახორციელებლად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დირექტორის 2019 წლის 07 ნოემბრის N89 ბრძანებით (ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 26 აპრილის N49 ბრძანებით) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრასპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დუალური სწავლების შემთხვევაში);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა;

აქვე გასათვალისწინებელია, რომ:

- დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისთვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში;

- მოდულის განხორციელებისთვის საჭირო ერთი სასწავლო A, B, C გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 10 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეული საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;

- შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ტვირთების ექსპედირება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა დაეფუძნა შრომის ბაზრის კვლევას და დამფუძნებლის სს „საქართველოს რკინიგზის“ საჭიროებებს, რა მიზნითაც კოლეჯის არსებული რესურსების შეფასების შედეგად, განსაზღვრულ იქნა საერთო კვოტა 70 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. სასწავლო გეგმა გაწერილია 20 თვეზე, რომელიც მოიცავს შესაბამის კვირებს არდადეგებისათვის, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში, სასწავლო გეგმა გაწერილია 25 თვეზე. კოლეჯი გეგმავს ერთ მიღებაზე 40 პროფესიული სტუდენტის 4 ჯგუფად (ჯგუფში 10 პროფესიული სტუდენტი) მიღებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური და საბიბლიოთეკო რესურსის და პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობების/გამტარუნარიანობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯს პრაქტიკის განხორციელების მიზნით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს საქართველოს რკინიგზასთან და სს გუდვილთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ტვირთების ექსპედირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 4 პროფესიული მოდულის გარკვეული საათების და მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევას.

ხელშეკრულება მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადით და თითოეული ცალ-ცალკე უზრუნველყოფს ერთდროულად არაუმეტეს 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი (პროგრამის დანართი) და სასწავლო რესურსი. აღნიშნული სიის მიხედვით შემოწმდა კოლეჯში საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების ფლობა. დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს A, A/B/C და B გარემო, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მატერიალური რესურსის დანართის შესაბამისად.

ექსპერტების მიერ ასევე გადამოწმდა და დადასტურდა პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა ბიბლიოთეკაში. დადგინდა რომ მოდულებში მითითებული რესურსი რელევანტურია, ხელმისაწვდომია და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუირებით გამოიკვეთა, რომ გარკვეული პროფესიული მოდულების სწავლებისას ისინი საჭიროდ მიიჩნევენ გამოიყენონ დამატებითი ლიტერატურა, რომლებიც არ აქვთ მოდულებში გაწერილი, თუმცა განთავსებულია ბიბლიოთეკაში. გამომდინარე აქედან, სასურველია მოდულებში გაწერილ სასწავლო რესურსებს დაემატოს დამატებითი ლიტერატურაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

6. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრასპორტის კოლეჯის წესდებით განსაზღვრულია, რომ კოლეჯის დირექტორი კოორდინაციას უწევს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების შემუშავების პროცესს და ამტკიცებს მათ. „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 14 მაისის N66 ბრძანებით, რომელშიც ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 01 ივლისის N112 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება “ტვირთების ექსპედირება“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს და გამომდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან და მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. დირექტორის 2018 წლის 25 მაისის N43 ბრძანებით (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 1 ივლისის N109 ბრძანებით) დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი, რომლითაც განსაზღვრულია პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემუშავების და დამტკიცების პროცედურა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე შესაბამისი მოკვლევისა და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია შედგება: კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნის, ინიციატორისა და კომისიის სხვა წევრებისგან. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი და ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროგრამაში, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - ინტეგრირებული მოდულების განმახორციებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები, იმ პროგრამებზე, რომელებიც ითვალისწინებს სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას, სამუშაო ჯგუფს დაემატება იმ დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც ჩართული იქნებიან პროგრამის განხორციელებაში. შესაბამისი კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ან დამატებაზე უარის თქმის შესახებ, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით. კომისიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ბრძანებით.

დირექტორის 2024 წლის 15 აპრილის N46 ბრძანებით შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექტორი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები. წარმოდგენილია კომისიის ოქმი, რომლითაც განისაზღვრა პროგრამის შემუშავების ვადა, რომლის დაცვით კოლეჯის სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯრის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე პროგრამის პროექტი წარედგინა დირექტორს დასამტკიცებლად. პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 14 მაისის N66 ბრძანებით.

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“ ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის, მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.

პროგრამას დანართების სახით ახლავს: ზოგადი და პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი და ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების შესახებ, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის მოიცავს ზოგად მოდულებსა და პროფესიულ მოდულებს (სულ 90 კრედიტი), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის ზოგად და პროფესიულ მოდულებთან ერთად ქართული ენის მოდულებს (სულ 120 კრედიტი).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა გარკვეული ტექნიკური შეუსაბამობები, რომლებიც საჭიროებს კორექტირებას. კერძოდ:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ნაწილი/დოკუმენტი სრულად არ მიყვება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს, მის სტრუქტურას, მათ შორის პროგრამა არ მოიცავს პროგრამის მიზანს. შესაბამისად, სასურველია პროგრამაში გაიწეროს პროგრამის მიზნები და დისტანციური სწავლების შესაძლებლობები.
- პროგრამის ძირითადი ნაწილის დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ „მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების 24 მუხლით დამტკიცებული გარდამავალი დებულებით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.” მინისტრის ამავე ბრძანების საფუძველზე სასურველია განისაზღვროს, რომ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა შეუძლია დაიწყოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემთხვევაში თუ პროგრამით (რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება) გათვალისწინებული მოდულით/ მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.

- უცხოური ენის მოდული, მისი თავფურცელი არ იძლევა ინფორმაციას, კონკრეტულად რომელი უცხო ენა ისწავლება მოდულის ფარგლებში. ასევე, დამატებითი მიდგომები მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით არ არის ადაპტირებული. შესაბამისად, სასურველია მოდულით განისაზღვროს, რომელი უცხო ენა ისწავლება და მოხდეს მოდულის განხორციელების მიდგომების ადაპტირება.
- პროფესიული მოდულების ზოგადი ჩანაწერები მოიცავენ ინფორმაციას მოდულის სახელწოდების, კრედიტების, სარეგისტრაციო ნომრის და ვერსიის შესახებ, თუმცა საგანმანათლებლო სტანდარტისგან განსხვავებით, რომელშიც მითითებულია „N3", კოლეჯის მიერ წარმოდგენილ მოდულებში ვხვდებით ჩანაწერს „N2"-ს, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შესულ ცვლილებების მაჩვენებელზე იძლევა ინფორმაციას.

შესაბამისად, სასურველია პროგრამაში გასწორდეს ზემოაღნიშნული შეუსაბამობები.

პროგრამის შეფასებისას ასევე გამოიკვეთა:

- მოდულებში ვხვდებოდით ჩანაწერს „მოდულის ყველა სწავლის შედეგი შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად, დადასტურება განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე". გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული მოდულების ყველა სწავლის შედეგის დისტანციურად განხორციელება შეუძლებელია, კოლეჯში ვიზიტისას განხილულ იქნა აღნიშნული საკითხი და გაირკვა, რომ აღნიშნულ ჩანაწერში იგულისხმება სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტი. დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში, დირექტორის 01 ივლისის N112 ბრძანებით ცვლილება შეიტანა პროგრამაში, მოდულებში და გაასწორა ზემოაღნიშნული ჩანაწერები.
- პროგრამის ძირითადი ნაწილის დოკუმენტით განსაზღვრული იყო, რომ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით", როდესაც კვალიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მინიჭებასთან დაკავშირებულ ჩანაწერს ვხვდებოდით მე-12 პუნქტში. დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში, დირექტორის 01 ივლისის N112 ბრძანებით ცვლილება შეიტანა პროგრამაში და გაასწორა ზემოაღნიშნული ჩანაწერი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილით;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- კოლეჯის მისიით და განვითარების სტრატეგიული გეგმით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- ინტერვიუირებით;
- ბრძანებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექტორის 2019 წლის 07 ნოემბრის N89 ბრძანებით (ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 26 აპრილის N49 ბრძანებით) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრასპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დუალური სწავლების შემთხვევაში);

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;

- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;

- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა;

- დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისთვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში;

- მოდულის განხორციელებისთვის საჭირო ერთი სასწავლო A, B, C გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 10 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეული საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;

- შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ტვირთების ექსპედირება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა დაეფუძნა შრომის ბაზრის კვლევას და დამფუძნებლის სს „საქართველოს რკინიგზის“ საჭიროებებს, რა მიზნითაც კოლეჯის არსებული რესურსების შეფასების შედეგად განსაზღვრულ იქნა საერთო კვოტა 70 პროფესიული სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ოდენობით. სასწავლო გეგმა გაწერილია 20 თვეზე (არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 25 თვეზე), რომელიც ასევე მოიცავს შესაბამის კვირებს არდადეგებისათვის. კოლეჯი გეგმავს ერთ მიღებაზე 40 პროფესიული სტუდენტის 4 ჯგუფად (ჯგუფში 10 პროფესიული სტუდენტი) მიღებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური და საბიბლიოთეკო რესურსის და პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობების/გამტარუნარიანობის გათვალისწინებით.

კოლეჯს პრაქტიკის განხორციელების მიზნით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს საქართველოს რკინიგზასთან და სს გუდვილთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ტვირთების ექსპედირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 4 პროფესიული მოდულის გარკვეული საათების და მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევას.

ხელშეკრულება მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადით და თითოეული ცალ-ცალკე უზრუნველყოფს ერთდროულად არაუმეტეს 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ხელშეკრულებით პრაქტიკის ობიექტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს სასწავლო პროცესი მატერიალური და ადამიანური რესურსით, საწარმოს ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების ნაწილში და უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა წვდომა/დაშვება საწარმოს იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან (ან საშუალებებთან), რომლის გამოყენებაც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. აღჭურვილობის ჩამონათვალი დანართის სახით ახლავს ხელშეკრულებას. ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრულია, რომ პრაქტიკის დასრულებისას ისინი გასცემენ პრაქტიკის დღიურს შესაბამისი დამოწმებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემოებია:

- A გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია N407, სადაც განთავსებულია 10 პროფესიული სტუდენტისთვის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის 1 მაგიდა და სკამი, დაფა, კომპიუტერი და პროექტორი;
- B გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია N401, სადაც განთავსებულია 10 პროფესიული სტუდენტისთვის მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის 1 მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, დაფა, პროექტორი, კომბაინი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ABC გარემო - შერჩეულია ერთი ინტეგრირებული აუდიტორია N106, რომელშიც ერთდროულად განთავსებულია A, B და C გარემო და შეუძლია 3 ჯგუფის მიღება, ვინაიდან სივრცეები გამოყოფილია ერთმანეთისგან. თითოეული სივრცე აღჭურვილია 10-10 პროფესიული სტუდენტისთვის განსაზღვრული ინვენტარი-აღჭურვილობით. 10 პროფესიული სტუდენტით ჯგუფების დაკომპლექტება განაპირობა 10 პროფესიული სტუდენტებისთვის და 1 პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის "Software Carlo"-ს გამოყოფის საჭიროებამ. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა კოლეჯს გადასცა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ.

კოლეჯის მიერ პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი-აღჭურვილობის ფლობის დადასტურების მიზნით წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადებები და მიღება-ჩაბარების აქტები, როლითაც იკვეთება, რომ პროგრამის ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა (პალეტის ხელის ჰიდრავლიკური ურიკა, ჰიდრავლიკური ტვირთამწე, შტრიხკოდის აპარატი, პლატფორმული სასწორი, პლომბინატორი, ევრო პალეტი, სხვადასხვა ზომის კონტეინერები, ყუთები, კასრები და ა.შ.) უსასყიდლოდ გადასცა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ.

პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირი, რომელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე შეადგენს 18 პროფესიული განათლების მასწავლებელს. აქედან, 4 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირია.

დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილია სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია ის სასწავლო კვირები, რომლის განმავლობაშიც განხორციელდება პროგრამით და გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი. გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულებებით განსაზღვრულია ჯამურად საათების რაოდენობა, რომლებიც განხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, სასწავლო გეგმით არ იკვეთებოდა პირველ და მეორე სასწავლო წელს პრაქტიკულ კომპონენტს შორის გადაფარვები. კოლეჯმა დამატებით წარმოადგინა პრაქტიკული კომპონენტის სქემა, რომლითაც იკვეთება რომ პრაქტიკული სწავლება დაიწყება მეორე სასწავლო წელს, 43-ე სასწავლო კვირიდან. შესაბამისად, პირველ და მეორე სასწავლო წელს გადაფარვები არ იქნება და პრაქტიკის ობიექტებს ექნებათ გამტარიანობა კვოტის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს რკინიგზა წარმოადგენს ერთ-ერთ დამფუძნებელ ორგანიზაციას, ხოლო სს გუდვილი პარტნიორს, რომელთანაც კოლეჯი დიდი ხანია თანამშრომლობს. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს რკინიგზაში განხორციელდა ვიზიტი და მათ წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით გამოიკვეთა, რომ ისინი აცნობიერებენ პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას. ასევე, ისინი უზრუნველყოფენ კვალიფიციური ადამიანური რესურსის ჩართვას, ხოლო მატერიალურ რესურსზე ინფორმაცია დანართის სახით ახლავს ხელშეკრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. დირექტორის 2019 წლის 07 ნოემბრის N89 ბრძანებით (ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 26 აპრილის N49 ბრძანებით) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრასპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია, რომ დაწესებულებას ერთი მოდულის განსახორციელებელად ჰყავს მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. აღნიშნული დასტურდება კოლეჯის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსის დანართით. მოდულს „ქართული ენა A2" და "ქართული ენა B1" განმახორციელებლად მითითებული ჰყავდა 2 პირი, როდესაც ადამიანური რესურსის დანართი მხოლოდ 1 განმახორციელებელზე იძლეოდა ინფორმაციას. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა შეთანხმება, რომლითაც დადასტურდა აღნიშნული პირის ვალდებულება განახორციელოს ქართული ენის მოდულები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან, პროფესიული მოდულების განმახორციელებლად 4 პირია განსაზღვრული. პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება კვალიფიკაციითა და/ან სამუშაო გამოცდილებით. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ მათმა კვირეულმა დატვირთვამ არ გადააჭარბოს 40 საათს.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ სტუდენტთა ყოველი ახალი ნაკადის მიღების შემდეგ, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვებს, რომლის შესაბამისადაც, პროფესიული განათლების მასწავლებლის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს. ასევე, დირექტორის 2022 წლის 22 ივლისის N102 ბრძანებით განსაზღვრულია, რომ საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ და შტატგარეშე თანამშრომლებს ეძლევათ უფლება შეითავსონ პედაგოგიური საქმიანობა სასწავლო/სამუშაო კვირის განმავლობაში არაუმეტეს 20 საათის ოდენობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებას შერჩეული ჰყავს ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებად პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა პირადი საქმეების შესწავლით და მათთან გასაუბრებით დასტურდება მათი კომპეტენცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი ან პროფესიული განათლება (საშუალო ან უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია) ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დარგში აკადემიური და პრაქტიკული მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტით (დირექტორის 2024 წლის 14 მაისის N66 ბრძანებით), ხოლო ფუნქცია-მოვალეობები სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი:

- მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასა და სრულყოფაში;
- წელიწადში ერთხელ და საჭიროების შემთხვევაში ახდენს პროგრამის რევიზიას და წარადგენს დასაბუთებულ მოსაზრებებს მისი მოდიფიცირების საჭიროებისთვის;
- მონაწილეობს ფორმალური განათლების აღიარების პროცესში;
- მონაწილეობს ვერიფიკაციის პროცესში;
- ესწრება მეცადინეობებს კოლეჯსა და კომპანიაში;
- მონაწილეობს პროფესიული სტუდენტების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელი არის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს გავლილი სხვადასხვა სახის ტრენინგი, იცნობს საგანმანათლებლო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. დირექტორის 2022 წლის 11 მარტის N35 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ ბიბლიოთეკა განკუთვნილია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებელთა და პერსონალის სარგებლობისთვის და ამისთვის აუცილებელი წინაპირობაა ბიბლიოთეკაში გაწევრიანება. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე https://www.rtc.edu.ge. ის, ასევე იძლევა ელექტრონულ რესურსებზე წვდომის და ჩამოტვირთვის შესაძლებლობას.

ექსპერტების მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მუშაობის განრიგის შესახებ. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სასწავლო რესურსები და დადასტურდა მათი ფონდში არსებობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო რესურსებად ასევე ითვალისწინებს ნორმატიულ აქტებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც კოლეჯმა მიიღო საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე განთავსებული სისტემატიზებული სახით ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურების სარგებლობის უფლება. შესაბამისად, საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით ხელმისაწვდომია ის ნორმატიული აქტები, რომლებიც გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 25 ივნისის №104 ბრძანებით), რომლითაც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის და ინდივიდუალური სასწავლო ცხრილის შემუშავების პროცედურა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება დგება სსსმ პირისთვის, მობილობით გადმოსული პირისთვის, სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტისთვის და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის საჭიროების დადასტურების სხვა შემთხვევებში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, სსსმ პირის ასისტენტის, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი, ასევე, უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერი და სპეციალური მომვლელის ჩართვას. კოლეჯი ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობასთან ერთად უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ადაპტირებასაც.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; პროფესიული სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“ განხორციელების მიზნებისთვის იღებს როგორც ვაუჩერულ, ასევე პროგრამულ დაფინანსებას. ვაუჩერული დაფინანსება დაწესებულებას მიეცემა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ხარჯებისათვის, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ასანაზღაურებლად (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილება „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“). დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის ბიუჯეტით და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პროგრამის ფარგლებში რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 10 პროფესიულ სტუდენტს. შემოსავლის დიდი ნაწილი გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა ანაზღაურებისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების შესახებ შეთანხმებებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- პრაქტიკის გადანაწილების სქემით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ვებგვერდით www.rtc.edu.ge ;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- სასაქონლო ზედნადებით;
- დირექტორის ბრძანებით;
- პირადი საქმეებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექტორის 2018 წლის 25 მაისის N43 ბრძანებით (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 1 ივლისის N109 ბრძანებით) დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი, რომლითაც განახორციელებს პროგრამის მიმდინარეობაზე პერიოდულ ზედამხედველობას და დასახავს მისი გაუმჯობესების გზებს. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯი:

- შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას;
- დაადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარს, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარს, დამსაქმებელთა კითხვარს, კურსდამთავრებულთა კითხვარს).

შეფასება ჩატარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, კოლეჯის ძირითადი დამსაქმებლის, სს „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლებთან ერთად, რომლებიც ჩართულნი არიან კოლეჯის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის პროცესში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წელიწადში ორჯერ კოლეჯში იმართება შეხვედრა, რათა მოხდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას დამდგარი საკითხების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების განხილვა და საჭიროებისას, ხარისხის მართვის მენეჯერი კოლეჯის დირექტორს წარუდგენს წინადადებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების შესახებ.

დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის N30 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესით (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 01 ივლისის N111 ბრძანებით) ასევე განსაზღვრულია, რომ კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა.

2. დირექტორის 2018 წლის 25 მაისის N43 ბრძანებით (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 1 ივლისის N109 ბრძანებით) დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესით განსაზღვრულია, რომ პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანალებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს. ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარდგენილი წერილობითი სახით. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა. ამასთან, კოლეჯი ვალდებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში უზრუნველყოს პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე. ამავე დროს, უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, ამ პროგრამის შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ აღნიშნული პროგრამის შეცვლამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის განხორციელების შესახებ, მილევად რეჟიმში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ ცენტრს აცნობოს ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.

შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძვლები. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის გაუქმება ხდება დირექტორის ბრძანებით. ამასთან, კოლეჯი ვალდებულია ინფორმაცია პროგრამის გაუქმების შესახებ აცნობოს ცენტრს, ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესით;
- პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექტორის 2018 წლის 25 მაისის N43 ბრძანებით (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 1 ივლისის N109 ბრძანებით) დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს სასწავლო გეგმა. სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც). ასევე, სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ნათელ სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები.

სასწავლო გეგმით ირკვევა, რომ 86 სასწავლო კვირა გრძელდება ზოგადი და პროფესიული მოდულების სწავლება, ხოლო დამატებით 20 სასწავლო კვირა გათვალისწინებულია იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

სასწავლო გეგმის შეფასებისას გამოიკვეთა რამდენიმე შეუსაბამობა, რომელიც საჭიროებს კორექტირებას:

- სასწავლო გეგმით შეფასება ეტაპობრივად უნდა განხორციელებულიყო, თუმცა რამდენიმე მოდულში (ზოგადი, პროფესიული) შეფასება ბოლო კვირაში, ბოლო სწავლის შედეგის შესაფასებლად არ იყო გათვალისწინებული. დაწესებულებამ დირექტორის 01 ივლისის N112 ბრძანებით ცვლილება შეიტანა პროგრამაში/სასწავლო გეგმაში და გაასწორა სასწავლო გეგმაში არსებული მსგავსი შეუსაბამობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სასწავლო გეგმაში ქართული ენის მოდულების საათობრივი სქემა არ არის ჩაშლილად წარმოდგენილი და არ მოიცავს რამდენი საათია საკონტაქტო, რამდენი დამოუკიდებელი და რამდენი შეფასებისთვის განსაზღვრული, როდესაც ზოგადი და პროფესიული მოდულებისთვის საათების განაწილება, კრედიტების შესაბამისად, არის გაწერილი.

- სასწავლო გეგმაში, რამდენიმე მოდულის საათობრივი გადანაწილება არასწორადაა წარმოდგენილი. კერძოდ, სასწავლო გეგმაში სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვის მოდულსა და სატრანსპორტო-საექსპედიტორო დოკუმენტაციის მომზადების მოდულების შეფასებისთვის გათვალისწინებული დრო არასწორადაა გაწერილი, ასევე, ტვირთის გადაზიდვის კონტროლის და სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხის კონტროლის მოდულების დამოუკიდებელი საათები.

შესაბამისად, სასურველია გასწორდეს სასწავლო გეგმაში არსებული შეუსაბამობები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/ გეგმების შესაბამისად.

2. დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის N5 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 25 ივნისის №104 ბრძანებით) განსაზღვრულია, რომ ჩარიცხვის ბრძანების საფუძველზე სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი აკომპლექტებს ჯგუფებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, დადგენილი რენტაბელობის მაჩვენებლის დაცვის პრინციპით. ამასთან, პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში ან შეჭრილი გრაფიკით. სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილი დგება პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით ყოველკვირეულად სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერის პასუხისმგებლობით და განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. ტვირთების ექსპედირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება, რაც დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებითა და ვიზუალური დათვალიერებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის N5 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 25 ივნისის №104 ბრძანებით) რეგულირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა. დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, აგრეთვე სასწავლო გარემოს და სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომას. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ასევე ყველა ის შემთხვევა მობილობისას, თუ სტატუსშეჩერებული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენისას, როდესაც სტუდენტის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება.

დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით სასურველია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის საჭიროების დადასტურების სხვა შემთხვევებად და ინდივიდუალურ საჭიროებად განხილულ იქნას წინმსწრები ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება. ასევე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნას პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. კოლეჯს პრაქტიკის განხორციელების მიზნით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს საქართველოს რკინიგზასთან და სს გუდვილთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ტვირთების ექსპედირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 4 პროფესიული მოდულის გარკვეული საათების და მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ხელშეკრულება მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადით და თითოეული პარტნიორი ორგანიზაცია ცალ-ცალკე უზრუნველყოფს ერთდროულად არაუმეტეს 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ხელშეკრულებით პრაქტიკის ობიექტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოფს საწარმოს ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების ნაწილში სასწავლო პროცესი, მატერიალური და ადამიანური რესურსით და უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა წვდომა/დაშვება საწარმოს იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან (ან საშუალებებთან), რომლის გამოყენებაც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. აღჭურვილობის ჩამონათვალი დანართის სახით ახლავს ხელშეკრულებას. ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრულია, რომ პრაქტიკის დასრულებისას ისინი გასცემენ პრაქტიკის დღიურს შესაბამისი დამოწმებით. ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულები, პროფესიულ სტუდენტთათვის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა და სხვა.

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია, რომ პრაქტიკის ობიექტი ვალდებულია პრაქტიკის დასრულებისას გასცეს პრაქტიკის დღიური შესაბამისი დამოწმებით. „პრაქტიკის დღიურის ფორმა განისაზღვრება ამ ხელშეკრულების დანართის შესაბამისად“, რომელიც არ ახლავს ხელშეკრულებებს. შესაბამისად, სასურველია პრაქტიკის დღიურის ფორმა ახლდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. დირექტორის 2024 წლის 27 მაისის N80 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საწყობის ოპერირებისა“ და „ტვირთების ექსპედირების“ განხორციელებისათვის უსაფრთხოების სპეციფიკური ნორმები. კერძოდ, რკინიგზა, ტვირთგამგზავნი (ტვირთმიმღები) და ექსპედიტორი, რომლებიც გზავნიან და ღებულობენ საფრთხეშემცველ ტვირთს, ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ მისი გადაზიდვის უსაფრთხოება. ტვირთგამგზავნს (ტვირთმიმღებს) და ექსპედიტორს უნდა ჰქონდეთ ტვირთის გადაზიდვისას წარმოშობილი ავარიული სიტუაციებისა და ავარიების შედეგების სალიკვიდაციო საშუალებები, ჰყავდეთ მობილური ქვედანაყოფები და უზრუნველყონ მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაუყოვნებლივი გაგზავნა შემთხვევის ადგილზე. ეს მოთხოვნა ვრცელდება უსაფრთხოების ტვირთის გადაზიდვაზეც. აღნიშნული დოკუმენტით ასევე დარეგულირებულია შრომის დაცვის და უსაფრთხოების წესები საწყობში, რადგან საწყობი განეკუთვნება მომეტებული საფრთხის შემცველ ტერიტორიას. შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით საწყობში მუშაობა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რისკის შემცველი საქმიანობაა. ასევე, გაწერილია საკონტეინერო ეზოს ტერიტორიაზე, ავტომობილების გაყვანის ზონაში შესვლისას აუცილებელი უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები (საქართველოს რკინიგზა და სს გუდვილი) ტვირთების ექსპედირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 4 პროფესიული მოდულის განხორციელებისას, ასევე იღებენ პასუხისმგებლობას პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საწყობის ოპერირებისა“ და „ტვირთების ექსპედირების“ განხორციელებისათვის უსაფრთხოების სპეციფიკური ნორმებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- დირექტორის ბრძანებით;
- ინტერვიუირებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის N30 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 01 ივლისის N111 ბრძანებით), რომლითაც რეგულირდება პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემის მოთხოვნები. კერძოდ, განსაზღვრულია, რომ შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისას, გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების მიზნით, ხოლო მიმდინარე და შუალედური შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი შეფასება.

აღნიშნული რეგულაცია ასევე ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის/ვალიდაციის მექანიზმები, შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია: რა ვადებში ეძლევა პროფესიულ სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს.

2024 წლის მიღების ფარგლებში, დაწესებულებას შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრული არ ჰქონდა შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების სავალდებულოობის გავრცელება 2024 წლის მიღების ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე. ვიზიტის ფარგლებშივე დაწესებულებამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მინიჭების წესით განსაზღვრა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისების შემდეგ აბარებს საკვალიფიკაციო გამოცდას, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შემოწმება. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა ასევე პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა. საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებას ახდენს სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სამსახური, ხოლო პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მუშავდება საგამოცდო საკითხები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის N30 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესით (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 01 ივლისის N111 ბრძანებით) რეგულირდება ვერიფიკაციის პროცედურა. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით (იქმნება კოლეჯის დირექტორის მიერ), რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ან შეთანხმების პროცესში. ვერიფიკაცია ხდება კოლეჯში წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემების შესაბამისად, რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით. ვერიფიკაციის პროცედურის შედეგად ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ მუშავდება დასკვნა, რომელშიც დასაბუთებულად უნდა იქნას ასახული, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იყოს ვერიფიკაციის პროცედურის დროს წამოჭრილი ყველა პრობლემა. ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი ადგენს დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც აისახება ყველა განსახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის N30 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 01 ივლისის N111 ბრძანებით), რომლითაც განსაზღვრულია, რომ შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით.

არქივში გადაცემული შეფასების მტკიცებულების გამოთხოვაზე უფლებამოსილი პირი - კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ან გარე შემფასებელი კოლეჯის დირექტორის წერილობითი ნებართვის საფუძველზე, მის მიერ განსაზღვრული ვადით არქივიდან გამოითხოვს შეფასების მტკიცებულებებს. შეფასების მტკიცებულებების განადგურება ხორციელდება პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წლის ვადაში, დადგენილი წესით.

რაც შეეხება შეფასების უწყისებს, ისინი პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერთან, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის N30 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესით (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2024 წლის 01 ივლისის N111 ბრძანებით) განსაზღვრულია, რომ კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრასპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

31.07.2024
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---